საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 31 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გამო[illegible] დღისა: 1 თვით 12 მანეთი [illegible] ნომერი [illegible] 50 კაპ. განცხადების ფასი, [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 20 მან. [illegible] 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ [illegible] დღება. [illegible]

[illegible] № 189 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. [illegible] 10—12 საათამდე. რედაქცია[illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 24 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 24

მეუღლისაგან დაჩაგრული მეუღლე მელიტონ მიხეილის ძე სოსელია და შვილი მისი ტატიანა მელიტონის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 თებერვალს ქ. ტფილისში ნაძალადევის იბერიის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში განსვენებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

**მარგარიტა ივანეს ასული სოსელიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ დღის 12 ს. (3—1)

შაბათს 1 თებერვალს (ძველი სტილით 19 იანვარს) ფოთის (ნაბეჭურის) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**აკაკი ალექსის ძე თოფურიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მამა განსვენებულისა ალექსი მიხეილის ძე დედა ოლღა გრიგოლის ასული, მეუღლე ვერა კონსტანტინეს ასული, შვილები: ალექსი აკაკის ძე და ტატიანა აკაკის ასული, და ალექსანდრა ალექსის ასული, ბიძაშვილი ივლიანე ბახვაძე და დეიდა ქრისტინა გრიგოლის ასული თოფურიძენი. წირვის შემდეგ გადახდება პანაშვიდი.

# თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

## ხმოსანთა ამორჩევის გამო.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები მოხდება 1919 წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

**1 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | საარჩევ. | უბანი. | ქართულ უნივერსიტეტის შენობაში; |
| 2 | " | " | საზოგადოების თეატრში; |
| 3 | " | " | ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღის ქუჩა, სახლი მაჩაბლისა, № 52. |
| 4 | " | " | პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში; |
| 5 | " | " | სამეწადმეხოვეო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე; |
| 6 | " | " | მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიევის ქ. |

**2 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | " | " | მინიატიურის თეატრში, მელიქ აზარიანცის ს., ვერის დაღმართი; |
| 8 | " | " | არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.; |
| 9 | " | " | ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახ., სასამართლოს ქ.; |
| 10 | " | " | თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში; |

**3 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | " | " | პირველ ქალთა გიმნაზიაში; |
| 12 | " | " | სამოქალაქო სასწავლებელში, სახ. აფრიკიანისა; |
| 13 | " | " | სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა; |

**4 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 | " | " | სახელოსნო გამგეობაში; |
| 15 | " | " | მანთაშევის ქარვასლაში, სომხების ბაზარი, № 62; |
| 16 | " | " | სომხების საქველმოქ. საზოგადოების დარბაზში, აბას აბადის მ.; |

**5 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 | " | " | მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზე; |
| 18 | " | " | პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზე; |
| 19 | " | " | ტილლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქუჩაზე; |

**6 კომისარიატში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 | " | " | ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზე; |
| 21 | " | " | ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში; |
| 22 | " | " | ძმათა ტ.-აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთის ქ.; |
| 23 | " | " | სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ № 46; |
| 24 | " | " | მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზე; |
| 25 | " | " | ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება; |

**7 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 | " | " | არაკსიანის თეატრში; |
| 27 | " | " | ავლაბრის გიმნაზიაში; |
| 28 | " | " | ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხაგის შეს. ს. მანუკოვისა № 57; |
| 29 | " | " | მარინეს საეკლესიო სკოლაში; |
| 30 | " | " | ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა; |

**8 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 | " | " | ალტმანის სახლში, კუთხე პროსპექტოროვანის და კახეთის ქუჩა; |
| 32 | " | " | მოლაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ. |
| 33 | " | " | მე 4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში; |
| 34 | " | " | პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქუჩა; |

**9 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 35 | " | " | პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29; |
| 36 | " | " | მუშათა კლუბში, ერთობის უბანი; |
| 37 | " | " | მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა; |
| 38 | " | " | კატოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ; |
| 39 | " | " | სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ. |

**10 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 40 | " | " | ავჭალის აუდიტორიაში; |
| 41 | " | " | ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქუჩა. |
| 42 | " | " | 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ. |
| 43 | " | " | ზუბალაშვილის სახალხო სახლში, კიროჩნი ქუჩაზედ; |

**11 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 44 | " | " | საქვერამო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკის ქუჩებისა; |
| 45 | " | " | სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტტგერ; |
| 46 | " | " | ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე; |
| 47 | " | " | სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის. |

**12 კომისარიატში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 48 | " | " | რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში, შერემეტევის ქუჩის მხრით; |
| 49 | " | " | რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში; |
| 50 | " | " | ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა; |
| 51 | " | " | ავჭალის წყალსადენი. |

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ სიები საბოლოოდ შედგენილია და მათი განხილვა მსურველთ შეუძლიათ 30, 31 იანვარს და 1 თებერვალს ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში (სომხის ბაზარი № 62, მანთაშევის ქარვასლა).

3—1 ქალაქის გამგეობა.

ღრმა მწუხარების ბურუსში გახვეულნი მშობლები: დიმიტრი და ქეთიმ, ძმა ალექსანდრე და და დომინიკა, ბიძაშვილები: საშა, ვასიკო, ანიჩკა და პეტრე ექვთიმეს ძენი ქლენტები, ბიცოლა მართა ბიჭიას ასული ქლენტისა უღრმეს მადლობას უძღვნიან ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და მონაწილეობა მიიღეს პირადი დასწრებით, წერილით და დეპეშით თბილისის საშუალო სახელმწიფო კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის აგრონომიული განყოფილების მესამე სპეციალური კლასის მოწაფის

**ივანე (ვანიკო) დიმიტრის ძის ქლენტის**

დაკრძალვაში, რომელიც მოხდა 24 იანვარს სოფ. კვალითში (ზესტაფონი)

# არჩევნებისათვის

არჩევნები კლასობრივი ბრძოლის ერთი საშუალებათაგანია. არჩევნებში იხატება არა მარტო ნდობა პარტიისადმი, არამედ შეგნება და პოლიტიკური მომზადება თვითეული კლასის, მისი იდეური ბაგაჟი, ცოდნა და გამოცდილება.

არჩევნებში გამოიხატება აქტივობა და პასივობა ხალხის, გაბედულება და გაუბედაობა, საქმიანობა და უსაქმურობა. აქ აშკარავდება—აპირებს იგი თავის ფეხით სიარულს თუ სხვის ანაბარათ სტოვებს თავის ბედს. სურს თავის კლასს, თავის ქვეყანას დაეხმაროს, თუ მლონარეა და საიპეკუნო. ყველაზე მეტად არჩევნები გამოცდაა დემოკრატიისთვის.

მდიდრებმა, მსწავლულებმა, მოხელეებმა იციან თავის ინტერესები. მათი ბატონობა ყოველთვის იყო აგებული მათ დარაზმვაზე, შეგნებაზე და მომზადებაზე. ხალხი, მასსა ყოველთვის მივიწყებული, სიბნელეში ჩატოვებული, გარიყული, და ეს ქმნიდა მასში აპატიას, უმოქმედობას. იგი ან სულ არ მიდის თავის ბედზე საზრუნავად, ან თავის მოწინააღმდეგე კლასსა დაჯგუფს მიჰყვება.

მაშინ იგი თავის ბორკილების საკუთარი ხელით გამჭედია, სხვისი ბატონობის აშენებელია, თავის მონობის გამმაგრებელია.

ქვეყნის პროგრესი, წინმსვლელობა—ეს მასსის გამოფხიზლებაა. გამოფხიზლება კი გამოიხატება ხალხის საკუთარ ფეხზე დადგომით, იგი მაშინ თვით სჭედს თავის ბედს, მიჰყვება თავის გზას და ამით უძლეველია. შეიძლება ის შეცდეს, წაიბორძიკოს, მაგრამ შეცდომას ხვალ გაასწორებს, წაბორძიკებული ისევ ფეხზე წამოდგება და ასე გასწევს წინ ბედნიერი მომავლისაკენ.

საქართველოს დემოკრატიამ ამ მხრივ დიდი ხანია გადადგა პირველი ნაბიჯი. 30 წლის ისტორია აქვს მის აქტივობას. 30 წელიწადია, რაც აჰკაჰკდნენ პირველი მერცხლები ხალხის გამოფხიზლებისა.

ეს მერცხლები იყვნენ პირველი სოციალ-დემოკრატები. მათმა ენერგიამ გამოიყვანა ძილისაგან ქართველი ხალხი. შეაბრძოლა და დაამარცხებინა მეფის თვითმპყრობელობა, მისცა სურვილი და ენერგია თავისუფლების დაცვის, უჩვენა გზა და საშუალება დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ცხოვრების მოწყობის.

და ახლა, მომავალ არჩევნებში უნდა გამოჩნდეს ნაყოფი და შედეგი ამ ხანგრძლივი მუშაობის.

დღეს ორი მხრიდან მოელის საფრთხე არჩევნებს, ერთი იქიდან, რომ ხალხი მოიქანცა მრავალ არჩევნებისაგან და აღარ ფიქრობს ხელახლა ყუთებთან მისვლას. და ეს მოქანცულობა უსაშინელესი მტერია დემოკრატიის. ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები ამ მოქანცულობაზე ამყარებენ თავის იმედებს. „ზნამია ტრუდა“ და დაშნაკელი მოიკოტისტები ჩასჩიჩინებენ ამრჩევლებს: „ნუ მიხვალთ“ ყუთებთან. ხელი აიღეთ მოქალაქეობრივ მოვალეობაზე, იძინეთ მცხოვრებნო, აი მათი გალობა. და ეს ძილი გახდება თქვენთვის სამარეთ, ასეთია მათი იდუმალი ზრახვა.

მეორე მხრით საფრთხეს გვიმზადებენ არჩევნებში გამოსული ჯგუფები. ყველა სირინოზის ხმით შეხმატკბილებენ ამრჩევლებს და თავისკენ უხმობენ.

ბურჟუაზიული პარტიები—ეროვნულ-დემოკრატები და უდღეური „სოციალისტები“, ფედერალისტები და ესერები დაუყონებლივ საფრთხეს პირდებიან ამ ხმის მიცემაში.

ხალხმა უნდა იცნოს თავის გზა და გაარჩიოს იგი გარედან მოსულთა დაპირებისაგან. მუშათა კლასი უნდა გაჰყვეს თავის ძველ, ბრძოლაში შეზრდილ პარტიას, სოც.-დემოკრატიას. და ეს იქნება მისი ხიმტკიცის საუკეთესო მაჩვენებელი. მან უნდა ხმა მისცეს თავის თავს, თავის კლასს, ე. ი. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

მაგრამ ამ ხახულითაც გამოვიდა ერთი ჯგუფი—გათიშვის და განხეთქილების მქადაგებელი. ესაა ჯგუფი ზურაბოვის მეთაურობით, რომელიც რუსეთის სოც. დემოკრატიული ჯგუფის სახელით გამოდის და ნამდვილათ კი მუშებში განხეთქილების და გათიშვის შეტანას ცდილობს. ესაა ჯგუფი, რომელიც რუს და სომეხ მუშებს უსისინებს ქართველ მუშებზე და „სოლიდარობის“ სიტყვებ ქვეშ ატარებს შხამს გათიშვისა და ეროვნული დანაწილებისა.

ეს ჯგუფი უდიდესი და უსაშინელესი საფრთხეა მუშათა კლასისთვის. გარედან მოსული მტერი ვერას დაგვაკლებს. ჩვენი მუშები კარგათ იცნობენ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს, მათ სულისკვეთებას და მათ საქმიანობას. ციხე ტყდება შიგნიდან. და ეს ჯგუფი, სწორედ შიგნიდან აწარმოებს მუშათა დაქსაქსვის პოლიტიკას. დაშალე მუშათა კლასი; ჩამოაშორე ერთი ერის მუშები მეორე ერის მუშებს, დაუპირდაპირე ისინი ერთი მეორეს—აი მათი მოქმედების ობიექტიური აზრი და მნიშვნელობა.

და ამ ნიადაგზე ამ განდგეილთა ჯგუფში თავს იყრიან სოციალისტური სამინისტროს მქადაგებელი ზურაბოვი, და უკიდურესი მემარჯვენე ბურჟუაზიული სამინისტროს და კოალიციის მომხრე სმირნოვ პოპოვი. ძველათ ჩვენთან ნამუშევარი ზურაბოვი და მარტის სოციალისტი გეპშტეინი. უკიდურესი დემოკრატიზმის მომხრენი და რუსული ბატონობის მოტრფიალენი. ჩვენი დამოუკიდებლობის ოდნავ მცნობნი და მისი დაუძინებელნი მტრები.

ეს ჭრელი ჯგუფი, ჭრელი გულით და ჭრელი შემადგენლობით მოდის მუშათა კლასთან, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიას ებრძოლოს.

მუშათა კლასი ყველა კლასებს უპირდაპირდება. ამიტომ ყველა პარტიები და ჯგუფები ამ არჩევნებში ჩვენ პარტიას—მუშათა კლასის ნამდვილ წარმომადგენელს—უდგას პირისპირ და ყველას თავის მახვილი ჩვენსკენ მოუმართია. მაგრამ ჩვენ არ დაგვყრით იარაღს. მუშათა კლასს არ სჩვევია შიში ხიფათის წინაშე და შედრეკა მტერთა სიმრავლის წინაშე. იგი ყველას გასცემს საკადრისს პასუხს. და თავის კლასობრივი გზით წავა დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ ყველა მიდით საარჩევნო ყუთებთან! ყველამ მიეცით ხმა საქართველოს სოც.-დემ. სიას № 1.

---

**მოქალაქენო!**

**დაშნაკცუტიუნის პარტიამ ხომხეთის ჯარი საქართველოს ვერაგულათ შემოუსია და ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია!**

**არც ერთი ხმა ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაჩაღების პარტიას.**

---

# ვის ავირჩიოთ?

ორი თებერვალი ქალაქის არჩევნების დღეა. ამ დღეს თფილისის მოქალაქემ არჩევნებით უნდა გამოხატოს თავის მოქალაქეობრივი ნება და სურვილები. ამ დღეს თფილისის მოქალაქემ უნდა აცნოს ყველას, თუ რამდენათ შეგნებული აქვს მას განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა და მისი მიზანი. უნდა დაამტკიცოს, რომ ის სდგას მებრძოლთა მოწინავე რაზმში, რომ ისინი არასოდეს არ უღალატებენ იმათ სახელს და ხსოვნას, ვინც თავი შესწირა რევოლუციას, რომ მათ შეგნებული აქვთ მშრომელი ხალხის ინტერესები განურჩევლათ ეროვნებისა. და ყოველივე ეს უნდა დაამტკიცოს საარჩევნო ბიულეტენით.

ვინ უნდა აირჩიოს მან?

ჩვენ ვიცით, რომ წარსულ არჩევნებზე მან აირჩია სოციალდემოკრატია. ეს პარტია სცნო მან თავისი მოქალაქეობრივი ინტერესებისა და უფლების საუკეთესო დამცველათ.

ვის ინტერესებს იცავს სოციალდემოკრატია? პირველ ყოვლისა პროლეტარიატის, მუშა-ხალხის. მუშა ხალხი, ეს ის ნაწილია საზოგადოების, რომელიც თავის მარჯვენით ქმნის საზოგადო სიმდიდრეს, საზოგადო კეთილდღეობას.

სოციალდემოკრატია, ეს ის პარტიაა, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა განადგურებისაგან, შეძლო დაემყარებია წესრიგი, დაეცვა რევოლუციის მონაპოვარი, განემტკიცებია საერთაშორისო მდგომარეობა, საძირკველი ჩაეყარა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, მოესპო ბატონყმური ნაშთები, დაემკვიდრებია დემოკრატია...

მაგრამ ის ვერ დაკმაყოფილდება ყველა ამით. ეს არის პარტია პროლეტარიატის. ამიტომ მას არ შეუძლია შეჩერება. ის ისწრაფვის წინ, მისი მისია წინა რაზმებშია, მას თვალი მომავლისაკენ უპყრია. ის მესვეური იყო და იქნება წინ სვლის, თავისუფლების, ერთობის, სოლიდარობის, ძმობის და თანასწორობის.

მაშ გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას, მოქალაქენო!

მედგრათ, გაბედულათ, ხალისით და იმედით შეუდექით არჩევნებს და დაუმტკიცეთ ყველას, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც ღირსია თქვენი ნდობის, არის მხოლოდ სოციალდემოკრატია.

---

# პრესა

„ქოლოერთ ძაინ“ (№ 20) დაბეჭდილია მოწინავე წერილი შემდეგი სათაურით: „ნუ გავაღრმავებთ ორმოს“.

„გუშინ ჩვენ გადავბეჭდეთ გაზეთ „ერთობის“ ერთი წერილი, რომელიც ეხებოდა სომხურ სახალხო პარტიის მიერ დაჭერილ პოზიციას მომავალ ქალაქის არჩევნებში. ჩვენი სურვილი იყო მიგვეცა მკითხველებისთვის მართლივი სურათი იმ სიბნელისა, რომელიც არსებობს ეხლა სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებაში. ჩვენი აზრია დავხატოთ პოლიტიკური და ფსიხოლოგიური ის საშინელი სიბრმავე, რომელიც ახლა ქართული გაზეთების უმრავლესობის ძირითად თვისებათ არის გამხდარი.

„არ შეგვეძლო მოგვეთხოვა, რომ ამ მძიმე და არეულ-დარეულ პირობებში გვეამიანებს შეენახათ თავიანთი სულის წონასწორობა, რადგან ამისთვის საჭიროა იყოს კაცი ეროვნულ ძლიერ ნების პატრონი და ისტორიულ მოვლენებს უცქეროს, როგორც ერთ ბუნებრივ მოვლენას, რომლის ერთი რგოლი დღეს აქ არის, ხვალ კი სხვაგან.

„მაგრამ შეგვეძლო მოგვეთხოვა, მოვვითხოვა და მოველით კიდეც, რომ ქართული გაზეთები, როგორც ქართველ ხალხის აზრების და გრძნობების გამომთქმელები, გამოიჩენენ უფრო დინჯ, სერიოზულ და სამართლიან დამოკიდებულებას სომხის ხალხის საერთოდ და კერძოთ თფილისის სომეხ მოსახლეობისადმი, ვიდრე ჩვენ ვხედავთ ამას სომეხ-ქართველთა კონფლიკტის დღიდან დღევანდლამდე.

„სამწუხარო ის კი არ არის, რომ „ერთობის“ გუშინდელი წერილი თავიდან ბოლომდე ცილის წამება და ტყუილია. სამწუხარო არის ის, რომ ის განზრახული ცილისწამებაა და, რაც მთავარია, დაწერილია სომეხ ხალხის ეროვნულ პატივს ერთი ახალი შეურაცყოფის მიცემის მიზნით.

„ამ წერილის შინაარსი მხოლოდ ესაა და სხვა არაფერი.

„იმ მძიმე და სასირცხვილო პირობებში, რომლებიც შექმნილა თფილისში სომეხ ელემენტისთვის, სომხობას არ შეეძლო დინჯი გულით და დალაგებული აზრებით მისულიყო საარჩევნო ყუთებთან და მიეცა თავისი ხმა იმათთვის, რომელთაც უნდა დაეცვათ თავიანთი ეროვნული და საერთო სამოქალაქო ინტერესები; იგი ხედავს, რომ არ არის

# დღეს

**ხოჭაში მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა გაილაშქრა რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსების წინააღმდეგ.**

**შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა ექიმების აღნუსხვა 15 თებერვლამდე.**

**გენ. დენიკინის შტაბის ცნობით, მოხალისეთა ჯარს აუღია გეორგიევსკი, მინერალოვოდსკი. ესენტუკი, მთა ბეშტაუ და პიატიგორსკის გარე უბნები.**

**28 იანვარს, გერმანელებთან ბრძოლაში პოლონელები დამარცხდენ და უკან დაიხიეს.**

**გერმანული პრესის ცნობით ბუენოს აირესში ბოლშევიკური გამოსვლა შემთხვევითი ხასიათისა იყო. ბოლშევიზმს მუშები არ თანაუგრძნობენ ინგლისში ბოლშევიკებს იმედი აქვთ, რომ მათ მხარს დაუჭერენ სამთო, რკინის გზების და ნავთ სადგურების მუშები.**

---

ისეთი პირობები, რომელიც ამ ამომრჩევლებს არ გახდიდეს სხვის ხელში სათამაშო საგნათ.

„დღევანდელ პოლიტიკურ არჩევნების დროს არ არის ის გარანტია, რომ შეეძლოს სომხებს მივიდეს ყუთებთან იმ მარტივი და უდავო შეგნებით, რომ ის არ მასხარობს არამედ—თავის მოვალეობას ასრულებს თავის და მახლობელთა სასარგებლოთ?

„ჩვენ ვიტყვით, რომ არა, არ არის!

„უკეთუ იგრეა, რისთვის უნდა მიიღოს სომეხმა ხალხმა მონაწილეობა არჩევნებში სომეხი, რომელიც დღემდე დამონებული, შეშინებული, უუფლებო და კანონ გარეშე გამოცხადებული, რათ უნდა წავიდეს და მისცეს თავისი ხმა წარმოდგენილ სიებს, როცა იცის, რომ ამით არაფერს არ აკეთებს, და, როცა იცის, რომ იმ დროს, როცა მონაწილეობას იღებს, თავის მოძმეთა ერთი დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით სიებში არ არიან ჩაწერილნი, მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში.

„დეე შეიგნონ ეს ყველა იმათ, რომლებიც ერთნაირი და ყალბი მსჯელობით ცდილობენ განმარტონ ყველა პოლიტიკური მოვლენები, რომ არ გამოვაკლოთ, აგრეთვე საურთიერთო დამოკიდებულებანი და ამის გამო წარმომდგარი გართულებანი.

„ჩვენ ბევრ რამეს არ მოვითხოვთ.

„ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ და მხოლოდ ცოტა მეტი სერიოზული და სამართლიანი დამოკიდებულობას ჩვენთან და ვისურვებთ, რომ მაგისთანა უსაფუძვლო და უაზრო წერილებით უფრო არ გაღრმავდეს ის ორმო, რომელიც დღეს გათხრილია ჩვენ ორი ხალხის შუა ორივე მხრით დაბუდებულ შოვინისტურ და მოძულეთა ელემენტების წყალობით“.

## უკანასკნელი ცნობები

**ხოჩა.** იანვრის 30. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). იანვრის 26 შესდგა დიდი მიტინგი რუსთა ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ, რომლის დაარსებაც განუზრახავს ადგილობრივ მემარჯვენე ელემენტებს და მონარქისტებს. საბჭოს დამცველად გამოსულ ორატორებს გავლენა არ ჰქონდათ. მიტინგმა ერთხმად, წინააღმდეგ ოთხისა, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) სოჩის ოლქის დემოკრატია, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ იმყოფება და იცავს მას მოხალისეთა ჯარის დევნა-შევიწროვებისაგან, დემოკრატიულ წესწყობილების ფარგლებში თავისუფლათ სარგებლობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვითმართველობით და არავითარი დახმარება ეროვნული ხასიათის ორგანიზაციისაგან მას არ სჭირია; 2) სოჩის ოლქის დემოკრატია არამც თუ არ მიიღებს რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსებაში მონაწილეობას, არამედ—ენერგიულ პროტესტს აცხადებს ყოველგვარ ეროვნულ საბჭოების არსებობის წინააღმდეგ, 3) რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსება, რაც ადგილობრივ მემარჯვენე ნაციონალისტების თაოსნობით ხდება და რასაც წინ უძღვნის ჩვენი მეგობარი ქართველ დემოკრატიაზე ცილისწამება და საიდუმლოთ შეკავშირება რეაქციის მასულდგმულებლებთან ყუბანში,—მიმართულია საერთოდ მთელი დემოკრატიის საზარალოთ და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

**ხოჩა,** იანვრის 29. (საკუთარ კორესპონდენტისაგან.) დენიკინის შტაბი იუწყება: სვიატო-კრესტოვის მიმართულებით ჩვენი ოპერაცია ხსენებულ სამხედრო პუნქტის აღებით დასრულდა, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ხელთ იგდო დიდი დავლა: ვაგონები, ავტომობილები, ჰაეროპლანები და ჯავშნიანი ავტომობილები. პროხლადნაიას მიმართულებით დავიჭირეთ ქ. გიორგიევსკი და მინერალოვოდსკი. იანვრის 20 ჩვენმა ჯარმა დაიჭირა კისლოვოდსკი და ესენტუკი. იმავე დღეს დავიჭირეთ სადგური და მთა ბეშტაუ, პიატიგორსკის გარე უბანი კანგლი, ზმიევა, სად. მინერალნია ვოდი, სადაც 600 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. მოწინააღმდეგე თავზარდაცემული გარბის, იარაღს და ტრანსპორტს სტოვებს. დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა.

## საარჩევნო კამპანია

### მოგონებანი ტყვეობიდან.

სამი წლის და ოთხი თვის ტყვეობის შემდეგ, მოვხვდი გერმანიის ერთ ერთ სოფელში საცხოვრებლათ, რამაც ცოტაოდენათ შემიმსუბუქა ის ტანჯვა და წვალება, რაც მადგა თავზე ჩემი იმდენი ხნის ტყვეობაში. გამგზავნეს სოფელ კამაროვში, რომელიც ქ. ვოლშტეინზე ოცი ნაბიჯით იყო დაშორებული. უკეთესი იყო სოფელში ცხოვრება, ვინემ ტყვეების ბანაკში იმით, რომ იქ დარაჯების დახმარებით შეეძლო კაცს გამოლაპარაკება თავისუფალ მცხოვრებ ხალხთან, თუ კი დარაჯი არ გაიგლიდა იმ ინსტრუქციით, რომელიც თვითეულ მათგანს ხელში ეჭირა მთავრობიდან გადმოცემული და დასცქეროდა, თუ როგორ უნდა მოპყრობოდა იმ სამხედრო ტყვეებს, რომელნიც მათ ებარათ დასაცველათ.

მისვლისთანავე გამოვიწერე ჟურნალ გაზეთები ბერლინიდან დარაჯის სახელზე, რომელნიც ყველა მესამე დღეს მომდიოდა, რის საშუალებით ვეცნობოდი მოკლეთ სამშობლოს მდგომარეობას. ადრევე დარაჯებს დარჩათ ცოტაოდენი ხათრი და იმ ხათრით ვსარგებლობდი კვირა უქმეებში, ვსთხოვდი თუ არა უფროსს დარაჯს, წავიდოდი სადმე სოფლათ, რათა დაწვრილებით გამეგო უცხოელების შინაური მდგომარეობა.

კვირა დღე იყო, როდესაც დარაჯის ნებართვით წავედი ქ. ვოლშტეინში. გამოვედი თუ არა, ერთ ნაცნობ ქუჩისაკენ გავექანე. შევედი თუ არა სავაჭრო სახლში, კარები შუა სახლისა ნახევრად გაღებული დამხვდა. შიგ იჯდა ორი გერმანელი, რომლებიც ყავას შეექცეოდნენ. მოვითხოვე რაც მინდოდა, ის იყო უნდა გამოვსულიყავი, რომ მომესმა ხმა ოთახიდან, რომელიც მე მეხებოდა და მივბრუნდი კიდეც.

რუსო, მობრძანდით ყავა მიირთვითო, გამომეხმაურა ერთი იმათგანი.

ვერ მოვასწარ მადლობის გადახდა, როდესაც მეორე მათგანმა გამომდო მკლავში ხელი და ოთახში შემიყვანა. გამიკვირდა იმათი სტუმართ მოყვარეობა, როდესაც პირველათ ვხედავდი ჩემს თავს გერმანელის მიერ დაპატიჟებულს.

დავსხედით თუ არა, მივიღე კითხვა მეორესაგან: რუსი ხარ თუ კავკასიელიო. მე ვუპასუხე, რომ ქართველი ვარ მეთქი. მაშ, კარგი, რომელ პარტიას ეკუთვნიო, შემეკითხა მეორე. მე, მის ნაცვლათ, რომ პასუხი მიმეცა, გამეცინა, რაკი ამგვარ შეკითხვასაც პირველათ ვყურობდი გერმანელისაგან. სჩანდა, რომ მან რუსული არ იცოდა. ამ დროს მეორე შემეკითხა რუსულათ, ვიცნობ თუ არა მე ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს, (ეს იყო ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფამდე). მე გამიკვირდა, რადგანაც გერმანელებმა ეგრე გარკვევით მითხრეს ორივეს სახელი და გვარი. ამ დროს დაიწყო მანვე ლაპარაკი, რამაც ჩემი ყურადღება ძალიან მიიპყრო, რის შემდეგ მე დამავიწყდა, რომ ტყვე ვიყავი და დანიშნულ დროს დარაჯს უნდა გამოვცხადებოდი.

„ყველა პატარა ერების საკითხი სწყდება და თქვენი სამშობლოს ბედიღბალიც ამ მომავალ ხანებში უნდა გადასწყდესო“, მომმართა ერთმა.

მე ვიმედოვნებ, რომ მთელი ქართველი ერი კარგათ მიხვდება, თუ ვინ უდგია მათ სათავეში და მიანდობს თავიანთ ბედიღბალს იმ პირებს, რომელნიც მე ზევით მოვიხსენიე, რომლებიც ნამდვილი ტანჯული ხალხის ინტერესების დამცველნი არიან და რომლებმაც თავიანთი ძალღონე მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობას მოახმარეს და კიდევ მოახმარებენ. დასასრულ მათ შემატყვეს, რომ მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი იმის ლაპარაკით, რომელმაც თითქმის მთელი საათი ილაპარაკა, რის შემდეგ ჯიბიდან ამოვიღე ქართული გაზეთი და მივაწოდე მას. მან გამომართვა და თან წაიღო, და აგრეთვე შემპირდა ყოველ კვირაში მოეწოდებინა ჩემთვის წერილი და ეცნობებია სამშობლოს ამბები იმ მისამართით, რომელიც წაიღო ჩემგან. რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღე მისგანვე წერილი, რომლითაც მილოცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას პირველად, მეორედ—იმ ხალხის საქართველოს მთავრობის სათავეში მოქცევას, რომლებსაც ისინი ერთ დროს ჩემთან ერთად ალტაცებით იხსენებდნენ. მაიმედებდა, რომ საქართველოში არ დაიქცევა იმდენი უმართლო სისხლი, საქართველო არ ამოსწყდება შიმშილით, როგორც სხვა რომელიმე ქვეყანა, რადგანაც მას სათავეში სოციალდემოკრატია ჩუდგაო. თავის თავათ ცხადი აღმოჩნდა ის იმედი, რომელიც მან მე ადრევე მიანდერძა. დავბრუნდი თუ არა სამშობლოში, დავრწმუნდი, რომ შედარებით სხვა ქვეყნებთან, ამ მსოფლიო ომში, სოციალ დემოკრატების წყალობით, საქართველოში არ დაქცეულა იმდენი სისხლი, არ გახდარან მსხვერპლი შიმშილისა, იხსნა შინაგანი და გარეშე მტრების თავდასხმისაგან და დარბევისაგან საქართველო სოც.-დემოკრატიამ.

სოციალდემოკრატია, რომელიც ერთად ერთი დამცველია ხალხის და ყველა ერის პროლეტარიატისა, რომელიც არის ნამდვილი სწორი გზის მაჩვენებელი, მართავს ჩვენ ქვეყანას.

მოქალაქენო! ექვსი თვის განმავლობაში ჩვენმა დემოკრატიულმა მთავრობამ სრული წესრიგი დაამყარა, მიუხედავათ იმისა, რომ მას ბევრი ხელის შემშლელი ჰყავდა, მან შესძლო ეს და შესძლებს კიდეც ტანჯული ხალხის მისწრაფებანი სისრულეში მოიყვანოს საბოლოოდ.

მოქალაქენო! ყოფილო ტყვეებო! . არ დაივიწყოთ ვისი დახმარებით იყავით ტყვეობიდან დახსნილნი, არ დაივიწყოთ, თუ როგორ უნდა შეხვდროდით სამშობლოში თქვენ დამხსნელ დემოკრატიულ მთავრობას!

ხმა მიეცით არჩევნებში № 1.

**ბიქტორ მეგრელიშვილი—წიფნარელი.**

### ნაძალადევი

ნაძალადევი აქვანია დემოკრატიისა. 29 იანვარს ნაძალადევის თეატრის შენობაში მოხდა მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი საარჩევნო კრება. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ნ. რამიშვილი. ილაპარაკეს აგრეთვე ს.-ფედერალისტებმა ქრ. რაჭველიშვილმა და მ. საყვარელიძემ, რომლებიც ჩვენ პარტიას აგრარულ საკითხის გადაჭრას უწუნებდნენ. მათ შესაფერი პასუხი გასცეს თვით მომხსენებელმა და აგრეთვე ამხ. ალ. ჟორჟოლიანმა და სარდიონ თევზაძემ. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მრავალრიცხოვანი კრება, მოწვეული მოქალაქეთა კომიტეტის მიერ ნაძალადევის თეატრში 29 იანვარს, აღიარებს: 1) მუშათა კლასის ინტერესებს 25 წლის განმავლობაში თავდადებულად იცავდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, 2) როცა ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ რუსეთი დაირღვა და იქ გაბატონდა ანარქია და უსაშიშროესი რეაქცია, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და იქ დაამყარა რევოლიუციონური წესრიგი და განახორციელა რევოლიუციონურ დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნილებანი.

კრება სრულ ნდობას უცხადებს რევოლიუციონურ ბრძოლაში გამოწრთობილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და აძლევს ყველა ხმები მისცეს სიას № 1-ს“.

**მუშებო!**

**ომიანობის ხანაში ყველგან მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული დაჰკარგეს.**

**სოციალდემოკრატიამ საქართველოში მოიპოვა 8 საათის სამუშაო დღე.**

**ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.**

## პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე სოც.-დემოკრატები

29 იანვარს ქალაქ თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სადგომში შესდგა იმ სოციალ-დემოკრატების კრება, რომლებიც თფილისში არსებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებში მუშაობენ.

კრებაზე გაირჩა საკითხი იმ გათიშვის შესახებ, რომელიც მოხდა რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტსა და საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას შორის.

რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის სახელით ილაპარაკეს ფირუმოვმა, გეშტეინმა, ელბაქიანმა, დორბნიანმა და სხვებმა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლათ გამოვიდა მ. რუსია. კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესიონალურ კავშირებში მომუშავეებმა ტოფაძემ, კავკასიძემ, ფოფხაძემ, ხელაძემ და სხ.

კრებაზე თავმჯდომარეობდა ა. ხელაძე, მდივანი იყო პ. კავკასიძე.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია (10 კაცმა თავი შეიკავა):

„თფილისის პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე სოციალდემოკრატების კრებამ განიხილა რა საკითხი რუსეთის სოც.-დემ. პარტიის თფილისის ჯგუფის დამოკიდებულებისა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკისა და საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიისადმი და სცნობს რა, რომ მთელი მოღვაწეობის ხაზი რუსეთის სოც. დემ. პარტიის თფილისის ჯგუფისა და მისი ორგანოს გაზ. „სოციალდემოკრატისა“ არის მუშათა წრეებში დეზორგანიზაციის შეტანა, რომელსაც აგრეთვე ანარქია შეაქვს მუშათა წრეებში და ჰღუპავს სოციალდემოკრატიის საქმეს, მოუწოდებს თფილისის პროლეტარიატს და მთელ დემოკრატიას შემოკრბეს თავისი ძლიერი რაზმებით საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც შეადგენს რა რაზმს საერთაშორისო მუშათა კლასისას, შეუდრეკელათ მიჰყავს მუშათა კლასი დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისკენ“.

გაზ. „ერთობის“ მკითხველთა საყურადღებოთ

გაზეთის გამოსაცემ ხარჯების გადიდების გამო 1 თებერვლიდან გაზ. „ერთობა“ ეღირება, როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით 18 მ. ცალკე ნომერი 75 კაპ.

გაზეთის გამყიდველებს და აგენტებს დაეთმობათ 62 კაპ. ვთხოვთ ხელის მომწერთ, რომელთაც ფული 12 მანეთის კვალობაზე აქვთ გადახდილი შესაფერათ შეავსონ ხელის მოსაწერი ფული.

**მოქალაქენო!**

**თითქმის მთელ რუსეთში მიწას ისევ სხვილი მემამულენი დაეპატრონენ.**

**სოციალდემოკრატიამ ჩამოართვა საქართველოში მიწა მემამულეებს და ის მშრომელ გლეხკაცობას გადასცა.**

**ხმა მიეცით სიას № 1.**

## მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან

### განმარტება

ამას წინად გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ მიწათ მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა კანონ პროექტი, რომლითაც მიზნათ აქვს იმ ცარიელი ადგილების კონფისკაცია მოახდინოს, რომელიც მდებარეობს ქალაქებშიო.

ამ გარემოებას, როგორც გავიგეთ, ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები იყენებენ საგიტაციო მასალათ ახალ დაკანონებულ ქალაქებში, სადაც შედიან სოფლის მკვიდრი გლეხები თავისი მიწა-მამულით. აქ გლეხებს უმტკიცებენ, რომ მთავრობას განზრახული აქვს მათთვის საკუთრების ჩამორთმევა და სხვა.

მიწად-მოქმედების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ დასახელებული კანონ-პროექტის შემუშავების დროს მას სახეში ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ დიდი ქალაქები, უფრო კი თფილისი, სადაც მდიდარ მემამულეებს საკუთრებათ აქვს ათობით და ასობით თავისუფალი მიწები.

ახალ დაკანონ. ქალაქებში, როგორც არიან მაგალითად: სამტრედია, ხონი, სენაკი, ზუგდიდი, სურამი და სხვა, ან ისეთი ძველი ქალაქი, როგორიც არის ოზურგეთი, ეს კანონ-პროექტი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ მიწებს იმ თავად-აზნაურობისას, რომლებიც სარგებლობენ რა 1917 წ. 16 დეკემბრის მიწის კანონით, რომლის ძალითაც ქალაქების მიწები ხელ-შეუხებლათ რჩება პატრონს, ფიქრობენ სულ ერთიანათ შეინარჩუნონ ის დიდძალი მიწები, რომელიც მათ უნდა ჩამოერთვას და მიწის მუშა გლეხებზე გადასაცემ ფონდს მიემატოს.

ახალ შემუშავებულ კანონ პროექტს მიზნათ აქვს მხოლოდ ასეთი მიწები და არა სარჩოსაბადებელი იმ გლეხებისა, რომელიც ახლად დაარსებულ ქალაქების საზღვრებში მოჰყვნენ. მიწად მოქმედების სამინისტრო, პირიქით, ფიქრობს, რომ ასეთ გლეხებს, თუ ისინი უმიწო წყლო გამოდგებიან, კი არ უნდა ჩამოერთვას მიწა, არამედ—სადაც ეს შესაძლებელი იქნება, კიდეც უნდა მიეცეს ან მიემატოს.

მიწად-მოქმედების სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გ. ხ. ბერიძე.

## ექიმთა აღწერა

### (შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან)

14 იანვარი 1919 წ. № 4.

რათა საექიმო წესდების 222 და 223 მუხ. იქნეს სისრულეში მოყვანილი, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ექიმებს, რომელნიც ეწევიან კერძო მკურნალობას ან სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებაში მსახურებენ, ევალებათ აღნუსხონ 1919 წ. 15 თებერვლამდის.

ექიმები, რომელნიც სცხოვრობენ საგუბერნიო ქალაქებში, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ აღსანუსხავათ ან გუბერნიის საექიმო განყოფილებაში, ან სამოქალაქო ექიმებთან; მაზრებში მცხოვრებელნი კი სამაზრო ექიმებთან.

გუბერნიის საექიმო განყოფილება სამოქალაქო და სამაზრო ექიმები ვალდებულნი არიან 1919 წ. 25 თებერვლამდის მათთან აღნუსხულ ექიმთა სიები წარუდგინონ შინაგან სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სანიტარო განყოფილებას.

ყველა აფთიაქებს ევალებათ აღნუსხულ ექიმთა სიის მიღებისთანავე მტკიცეთ დაიცვან საექიმო წესდების მე-223 მუხლი.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

30 იანვარი.

### ინგლისური პრესის ცნობები.

პორტუგალიიდან ცნობაა, რომ რესპუბლიკანელებმა დაამარცხეს მონარქისტები.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის შორის საზავო კონფერენცია დაიწყება თებერვალში.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** იანვრის 28. „პრავდაში“ დაბეჭდილია ლენინის წერილი, სადაც ის მოუწოდებს ხალხს მთელი ძალით და ენერგიით დაეხმარონ სურსათის და ტრანსპორტის გაძლიერების საქმეში.

**ხარკოვი.** 26 იან. უკრაინის დროებითი მთავრობამ მოიწვია უმაღლესი სამხედრო ინსპექცია, რომელიც შეუდგა ჯარის შედგენას. ინსპექციაში მოწვეულია ყველა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე. ინსპექციას სათავეში უდგას იუდოვსკი. **კიევი.** იანვ. 19. ყაზახთა მასიურ გაქცევის გამო, დირექტორიამ დაადგინა მოუმატოს მათ მიწები და მისცეს 1000 მანეთი თითოს სარჩოს ქარის სახით. **ეკატერინოსლავი.** 19 იანვ. კიევიდან მიდის გერმანელების უკანასკნელი ეშელონი. **ვილნო.** 27 იანვ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ლიბკნეხტს მოხვდა სამი ტყვია. ერთი თავში, ორი—მკერდის მარჯვენა ნაწილში. ექიმები მოწმობს, რომ ლიბკნეხტი არ გაქცეულა, თავის ექიმობა ამტკიცებს, რომ ტყვია მოხვდა წინიდან და ახლო მანძილიდან. შესაძლებელია, რომ შოკავშირეებმა დანცეგი დაიჭირონ. **ვარშავა.** 24 იანვ. ვარშავის გაზეთი იუწყება, რომ გერმანელებმა აღმოსავლეთ ფრონტზე თავი მოუყარეს 60 დივიზიას და ახლო მომავალში აპირებენ გამოსვლას. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ კონფისკაცია უყო ბანკებში შენახულ სპარტაკელების ფულს. **როსტოვი.** 20 იანვ. ინგლისის მისიასთან ერთად როსტოვში ჩამოვიდა საფრანგეთის სამხედრო მისია, რომელიც დენიკინთან იმყოფება. ისინი როსტოვში ჩავიდნენ დონის ფრონტის დასათვალიერებლად და დონის ფრონტის ჯარის საჭიროების გასაცნობათ.

### ფრანგული პრესის ცნობები

საზავო კონფერენცია. დილის სხდომაზე მოუსმინეს ავსტრიის, ახალ ზელანდიის, იაპონიის და ჩინეთის დელეგატებს. საღამოს სხდომაზე საფრანგეთის ახალშენების მინისტრმა გენრი სიმენმა კონფერენციას გააცნო მისი დეპარტამენტის აზრი საახალშენო საკითხის შესახებ. შემდეგ განხილულ იქნა პრინციპიალური საკითხები ხალხთა ლიგისა და მისი შექმნის შესახებ.

გაზ. „პტი ჟურნალი“ გენრი სიმენის მიერ გამოქვეყნებულ საფრანგეთის საახალშენო მოთხოვნილების შესახებ, რომ ტოგო და კამერუნი საფრანგეთს დაუბრუნდეს, სწერს: თუ ეს ქვეყნები საფრანგეთს გადაეცა, მაშინ ის მოვალე იქნება ფართე ლიბერალურ ეკონომიური რეჟიმი დაამყაროს იქ და ადგილობრივი მცხოვრებნი დაიცვას.

ციურიხიდან იუწყებიან: მაშინ, როდესაც საზავო კონფერენცია საყოველთაო განიარაღებაზე მსჯელობს, ბერლინში ახალი მთავრობა ახალ გერმანიის ახალ არმიას ჰქმნის. შესაძლებელია სიმართლე იყოს, რომ გერმანიის მთავრობა აპირებს დამფუძნებელ კრებაზე ბერლინის მთავრობისაგან დამოკიდებულ საიმპერიო ჯარის შექმნის პროექტი წარმოადგინოს.

ამერიკის პრეზიდენტს, ამერიკის, ინგლისის და იტალიის პრემიერებს, საგარეო მინისტრებს და იაპონიის წარმომადგენლებს ორი სხდომა ჰქონდათ. დილით დმოვსკი პილცმა სხდომას გააცნო პოლონეთის მდგომარეობა და მოთხოვნილებანი. შუადღის სხდომაზე ჩეხო სლოვაკთა დელეგატმა კრამარჟმა გამოსთქვა თავისი აზრი ბოჰემიისა და პოლონეთის შორის მყოფ სილეზიის სამრეწველო რაიონის შესახებ.

### გერმანული პრესის ცნობები.

პრუსიის საკონსტიტუციო კრებისთვის არჩევნების შედეგი: უმრავლესი სოც.-დემოკ. გაიყვანეს 137 დეპუტატი, დამოუკიდებელ სოც.-დემ.—24, გერმანელ დემოკრატ.—59, ქრისტიანთა სახალხო პარტიამ—65, გერმანიის ნაციონალურმა სახალხო პარტიამ—39, გერმანიის სახალხო პარტიამ—16 და პატარა ჯგუფებმა—5. მოცლიან ცნობებს კიდევ სამ საარჩევნო ოლქიდან. გადაჭრით შეიძლება

ითქვას, რომ არც მეუმრავლესე სოც.-დემ. და არც სოციალისტური პარტიები ერთად ვერ შეადგენენ უმრავლესობას. ამიტომ სოციალ-დემოკრატებს მთავრობის და პარლამენტის უმრავლესობის შედგენაში იმედი ექნებათ დემოკრატიულ პარტიების დახმარებისა. აღსანიშნავია, რომ გერმანული ნაციონალური პარტია საგრძნობლათ გაძლიერდა. საქსენ ალტენბურგის საგერცოგოში და შვარცბურგზონდერს გაუზენში ერობის არჩევნებში გაიმარჯვა მეუმრავლესე სოც.-დემ.

კენიგსბერგის სავაჭრო პალატამ მთავრობას პროტესტი განუცხადა მთელი სავაჭრო ფლოტის მოკავშირეთათვის გადაცემის გამო.

ოფიციალური ცნობა პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: 28 იანვარს, ნაშუადღევის 5 საათზე, პოლონელ 200 ჯარისკაცმა იერიში მიიტანა ვილგელმსდორფზე. პოლონელები დავამარცხეთ და პოლინიიმდის განვდევნეთ. შემდეგ იერიში მივიტანეთ პოლინიეზე, საიდანაც პოლონელები გაიქცნენ და დაგვიტოვეს 2 ტყვიისმფრქვეველი და ამუნიცია. ნეტცფელდის რაიონში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ მიდის. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პეტერბურგის გაზეთი „რუსკი ლისტოკი" იუწყება, რომ პეტერბურგს საზქაროთ სცლიან. რის წაღებაც შეიძლება, მოსკოვში და ნოვგოროდში გადააქვთ. შემდეგ ქალაქს დასარბევათ უტოვებენ ჯარისკაცთ და განთავისუფლებულ ტუსაღ-ავაზაკთ.

კელნის გაზეთს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ბოლშევიკური გამოსვლა ბუენოს-აირესში მხოლოდ შემთხვევით მოხდა მუშების გაფიცვებთან ერთად. არგენტინის მუშებში ბოლშევიკების გავლენა არა აქვთ.

დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიული ყრილობა, რომელიც 9 თებერვალს უნდა მომხდარიყო ბერლინში, სხვადასხვა მიზეზების გამო, გადაიდვა ორი სამი კვირით. ბერნის სოციალისტური კონფერენცია 3 თებერვლისთვის გადაიდო.

„ფორვერტსი" მოკლეთ და გარკვევით სწერს: უნდა ითქვას, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა ძალდატანებით მიღებული გადაწყვეტილება გერმანიის ახალშენების მითვისების შესახებ, ეწინააღმდეგება პრეზიდენტ ვილსონის მიერ აღიარებულ პრინციპებს.

ინგლისის მთავრობამ ამას წინათ გამოსცა „ლურჯი წიგნი", რომელშიაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანია ღირსი არ არის აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის ახალშენები დაუბრუნონ. თეთრ წიგნში, რომელსაც ამ ქამათ ამზადებს გერმანიის მთავრობა, აღნიშნულია, რომ ინგლისის ახალშენებშიც ხშირათ შეხვდებით ნაკლს.

„ტაიმსი" იუწყება, რომ ლონდონში 18 იანვარს ბოლშევიკებს კრება ჰქონდათ. კრებაზე უშვებდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ ბილეთებით. კრებაზე განიხილეს საერთო გაფიცვის საკითხი, როგორც პირველი ნაბიჯი რევოლიუციის მოსახდენათ. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ მათ მრავალი მიმდევარი ყავთ სამთო მუშებში და იმედი აქვთ რკინის გზის და ნავთსადგურების მუშების.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

✦ **საქალაქო არჩევნებისთვის.** ვისაც დღემდე არ მიუღია სახელობითი მოწმობები და კონვერტები, შეუძლიანთ მიიღონ 31 იანვარს და 1 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე იმ ადგილებში, სადაც მოთავსებული იყო სარაიონო საარჩევნო ბიუროები.

✦ **ავლაბრის** თეატრ პალასში, შაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია ს. დ. მესამე რაიონის წევრთა არაჩვეულებრივი კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ევგ. გეგეჭკორი. დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა.

✦ **კოლექტიური ხელშეკრულობა ლითონზე მომუშავეთა.** კომისიამ სადაც შედიოდნენ სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენელნი და რომელსაც უნდა განეხილა ლითონზე მომუშავეთა კავშირის კოლექტიური ხელშეკრულება, დაასრულა თავის მუშაობა. მიიღეს შემდეგი ჯამაგირები: 1 ჯგუფი საათში 4 მ. და 3 მ. 90 კ; 2—3 მ. 70 კ. და 3 მ. 60 კ. 3—3 მ. 40 კ. და 3 მ. 30 კ., 4—3 მ., 5—2 მ. 80 კ. და 2 მ. 75 კ. ხელშეკრულება შედის ძალაში 1 იანვრიდან 1919 წ. და გრძელდება 6 თვეს. ფაქტიურად ახალი შეფასებით ჯამაგირები მიეცემათ 1 თებერვლიდან.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირი.** 26 და 27 ამა თვისას მოხდა ქუთაისის გუბერნიის პროფესიონალურ ექიმთა კავშირის დელეგატების და ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა ექიმთა შეერთებული ყრილობა. ყრილობაზე წაკითხულ იქმნა ექიმ ალ. მაღალაშვილის მიერ მოხსენება: საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირის დაარსების შესახებ და პროექტი წესდებისა ამ კავშირისათვის. ყრილობამ მოისმინა მოხსენება და მუხლობრივ განიხილა წესდება. ზოგიერთი ცვლილებით მიიღო ეს წესდება და ამოირჩია კავშირის დროებითი გამგეობა. არჩეულ იქნენ ექიმები: კ. მეუნარგია, ალ. მაღალაშვილი, ლომაური, ი. ელიაშვილი და შ. მიქელაძე.

✦ **მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები.** იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, სამაზრო ერობანი ვერ შოულობენ სათანადო მომზადებულ პირთ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისათვის. მიზეზად მცირე ჯამაგირს ასახელებენ. იუსტიციის სამინისტროში მზადდება კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

✦ **გზათა მინისტრის** განკარგულებით ბიქტორ ჩაჩიბაია დაინიშნა გზათა მინისტრის რწმუნებულათ ბაქოში ნავთის შესაძენათ, მას დაევალა ყოფილ რწმუნებულ ტოლსტოლოვისაგან ჩაიბაროს ყველა საქმეები.

✦ **ერევანიდან** ჩამოსულების სიტყვებით სომეხთა ჯარის ნაწილები ინგლისის ჯართან ერთად გაგზავნილ იქნენ ყარსში ოლქისა და ქალაქის დასაკავებლად.

✦ **ინგლისის მისიასთან** დაარსებულ იქნება ახლო მომავალში საინფორმაციო ბიურო, რომლის ხელმძღვანელათ გაზ. „ტაიმსის" ერთ-ერთი თანამშრომელთაგანი იქნება. ბიუროსთან დაარსდება სამკითხველო.

✦ **სახადის გაძლიერების გამო** ერევანში ყველა სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილი ყოფილა.

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

— დღეს, საღამოს 5 საათზე (ოლღას ქუჩა, № 29) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტი მართავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „უთანხმოება სოც.-დემ. პარტიაში" („სოც.-დემოკრატიის" ჯგუფი). მოხსენებას გააკეთებს ამხ. ს. მიხელიძე რუსულ ენაზე. მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა უფასოა.

— დღეს, პარასკევს, 31 იანვარს, საღამოს 5 საათზე ერთობის უბნის მუშათა კლუბში დანიშნულია ერთ. უბნ. გვარდიელთა საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებს ვალიკო ჯუღელი: არჩევნები ქალაქისა და დამფუძნებელ კრებისა. ამ კრებაზე არა გვარდიელთაც შეუძლია მიიღონ მონაწილეობა.

# დაფქვილი ნახშირი

ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს, თუ რა გასაჭირში ჩავარდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება, როდესაც ბაქოდან ნავთი აღარ მოგვდიოდა. განსაკუთრებით აუტანელი პირობა შეიქმნა რკინის გზაზე მოძრაობის შემცირების გამო; ქალაქს სიმშილის აჩრდილი წამოადგა თავზე და არც თუ პროვინციებში იყო უკეთესი მდგომარეობა. ამის მოგონებით მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო სათბობ მასალის დიდ მნიშვნელობაზე განსაკუთრებით ჩვენში, რადგან ჩვენ ბაქოს მდიდარი ნავთის წყაროები არ მოგვეპოვება და ჩვენში არსებული ნავთიანი ადგილები კი ჯერ არამთუ დამუშავებული, საკმაოდ გამოკვლეულიც არ არის. აღნიშნულ დროს, მართალია, სცადეს ტყვიბულის ქვა-ნახშირი გამოეყენებინათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მოძრაობა არ შემსუბუქდა: ქალაქიდან ქუთაისამდე ჩასვლა კვირაობით გრძელდება და სხვა. გასაკვირი რჩებოდა, თუ ევროპაში ყველგან ქვა-ნახშირით და ბრიკეტებით ახურებენ მატარებლებს, რატომ ჩვენში არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მატარებლების ნახშირით გახურება და ნორმალი მოძრაობა. მიზეზი, რასაკვირველია, ბევრნაირი იყო და უმთავრესად კი შემდეგი: მემანქანე მიჩვეული არ იყო ნახშირით გახურებას და შესწავლას კი ვარჯიში და დრო უნდოდა, მემანქანე არ კადრულობდა ნახშირით გამურვას და ნიჩბით ნახშირის სათბობში შეყრას, მემანქანე ცხადლივ საბოტაჟს ეწეოდა ნავთის ნახშირზე შეცვლის გამო და, რასაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, ქვა ნახშირი მაღაროებიდან ნაკლებ ღირსებისა და არც საკმაო მოდიოდა. ამის გამო მატარებლების გასახურებლად შეშის ხმარება დაიწყეს, რასაც შედეგად აუარებელ ტყის განადგურება მოჰყვა. ამას კიდევ შედეგად ის დაემატა, რომ შეშით გახურებისას მატარებლიდან აუარებელი მსხვილი ნაპერწკალი სცვიოდა რკინის გზის ლიანდაგთან ახლო მდგარ სახლების სახურავებზე და არა ერთი და ორი სახლობა გადაიბუგა ძირიანად ამის წყალობით.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ თუ ჩვენ ისეთს სათბობ მასალას ვიხმართ, რომელიც ჩვენშივე საკმაოდ მოიპოვება და სხვაგნიდან მისი მოტანა არ დაგვჭირდება, რომელიც თავისი თბობის ღირსებით ნავთს არ ჩამოუვარდება, რომლით გახურებაც ისევე ადვილად ხდება, როგორც ნავთით და ამასთანავე არავითარ ხიფათს და უსუფთაობას,—ნაპერწკლებს, კვამლს, ჭვარტლს, მურს, ფისს და სხვა—არ აჩენს, ამისთანა რამ ჩვენ ქვეყნისთვის სწორედ მისწრება იქნება.

აი, სწორედ ასეთი რამ მისწრება არის ფქვილი ნახშირი. პირველად ფქვილ ნახშირით გახურება მატარებლებისა სცადეს ამერიკაში 1915 წელს ჩიკაგოს გზაზე, შემდეგ კი ასეთ ფქვილ ნახშირის ხმარება გავრცელდა სხვა შტატების რკინის გზებზედაც. საინტერესოა ხმარებულ ნახშირების შემადგენლობა

| | | |
|---|---|---|
| სინოტიოს რაოდენობდა | 0 5-დან | 33 პრ. |
| მქროლი ნივთიერებანი | 8,33 „ | 47 „ |
| ნაცარი | 7,58 „ | 29 33 „ |
| გოგირდი | 0,72 „ | 9,10 „ |
| სითბო | 4193 „ | 7830 კალ. |

ეს რიცხვები გვიჩვენებს, რომ ხმარებული ნახშირი არა ყოფილა ყოველთვის საუკეთესო ღირსებისა.

საგულისხმოა აგრეთვე ის უპირატესობა, რომელიც თან სდევს ფქვილ ნახშირის ხმარებას მსხვილთან შედარებით:

1) წვა სწარმოებს უკვამლოთ, უნაპერწკლებოთ და უნაგვოთ.

2) ქვაბის ძალა იზრდება 7,5-დან 15 პრ.

3) სათბობი სჭირდება ნაკლები 15-დან 30 პროც.

4) მატარებელი უფრო ერთ დონეზე მუშაობს.

5) გახურებულ ორთქლს უფრო მაღალი სითბო აქვს.

6) არ არის ნაგავი, ნაცარი და ჭვარტლი კვამლის სადენ მილებში.

7) მოსპობილია მანქანის შიგნით ნაწილების სხვადასხვა გვარი რღვევა.

8) სიძნელე ხელით მუშაობისა აღარ არსებობს.

9) აღარ არსებობს საჭიროება ნახშირის განაწილებისა და სხვადასხვა სიმსხოს მიხედვით და ამისთვის გამოწვეული ზედმეტი ხარჯები.

10) მემანქანის მუშაობის შემცირების გამო შეძლება აქვს მეტის გულისყურით ადევნოს თვალი გზაში ნიშნებს, რასაც ბევრ უბედურების თავიდან აცდენა მოსდევს... კიდევ მრავალი სხვა უპირატესობა მოსდევს თქვილ-ნახშირის ხმარებას, მაგრამ ყველას ვეღარ ჩამოვთვლით—მოკლედ კი ის ითქმის, რომ ფქვილ ნახშირის ხმარებას ნავთზე ნაკლები უპირატესობა არა სდევს თანა.

ზევით მოხსენებული იყო, რომ აღნიშნულ დროს ტყვიბულის მაღაროებიდან ნახშირი ნაკლებ ღირებულებისა იყო და არც თუ საკმაო მოდიოდა. აქ უნდა ითქვას, რომ მართალია ტყიბულის ნახშირი არ არის საუკეთესო ღირსების ნახშირი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი არც ისეთი მდარეა, როგორც მას მაშინა სახავდნენ. ყოველ შემთხვევაში იგი გაცილებით უკეთესია ბევრ იმ ნახშირებზე, რომლებიც ხმარებაში ყოფილა ამერიკის რკინის გზებზე—სხვების ცნობებს, რომ თავი დავანებოთ, ამას გვეუბნება ჩვენ რესპუბლიკის სამთო სამმართველოში ეხლახან გაკეთებული ანალიზები. ეხლა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნულ დროს ტყიბულში ქვანახშირსა სტეხდნენ და არჩევდნენ ან გამოუცდელი მუშები და ან ისეთნი, რომელნიც საბოტაჟს ეწეოდნენ, გასაგები იქნება, თუ რად იყო ტყვიბულის ქვანახშირი გაუწმენდავი, გაურჩეველი, მრავალ-ნაცრიანი და გოგირდიანი. მაღაროების რაციონალი დამუშავება და ტეხნიკური მოუწყობლობაც რომ ზედ ერთოდა და ღირსების გაუმჯობესებაზე გავლენას ახდენდა ეს ხომ ყველასთვის მისახდომია დამაშასადამე ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საკმაო ნახშირს ვერა გზავნიდა ტყვიბული სხვათა შორის იმიტომ, რომ ნახშირს სტეხენ უმთავრესად ადილზე სულ ზედა პირიდან, სადაც ნახშირი უფრო გამოფიტულია და ამიტომ იმის გარდა, რომ ნახშირი ზედა პირზედ უფრო მდარეა, ნალმი ნახშირს ძალიან წვნიკ ნაწილებად ამსხვრევს. ჩვეულებრივ სახმარებლად კი წვნიკი ნახშირი გამოუსადეგარია. ამ გვარად მოტეხილ ნახშირის ნახევარი, (თუ მეტი არა), როგორც გამოუსადეგარი ტყუილად იყრებოდა (ღირსებით კი ეს წვნიკი ნახშირი უკეთესი იყო აღნიშნულ დროინდელ მსხვილ ნახშირზე!).—ამ წვნიკ ნახშირს სხვაგან ბრიკეტებისთვის (სხვადასხვა ზომის აგურების მსგავსათ ტკეპნილი ნახშირი) ხმარობენ, ჩვენში კი ის ზედმეტ ბარგად არის მიჩნეული, თუმცა ბრიკეტისათვის საჭირო შემაკოწიწებელი ფისი, თვით ამავ ნახშირიდან რომ არ დავამზადოთ, ქუთაისის მახლობლად მოიპოვება აუარებელი და დაუფასებელი ღირსებისაც.

ფქვილ ნახშირის ხმარება, რომ შემოვიღოთ ჩვენში, მაშინ მსხვილი ნახშირი სახლში სახმარებლად (უეჭველია თანდათან გავრცელდება ჩვენში შეშის ნაცვლად ქვანახშირის ხმარება) ან გარედ გასაზიდად გამოგვადგება და წვნიკი კი დაიფქვება და ისე მოიხმარება მატარებლების და უძრავ ქვაბების გასახურებლად. ამას გარდა ბრიკეტების გაკეთებაც და მასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯებიც, რა თქმა უნდა, თითქმის საჭირო აღარ იქნება.

ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მეურნეობის ქვეყანა იყო დღემდის, მაგრამ მრეწველობა ახლო მომავალში მას, თუ არ გაუსწრობს, უკან მაინც არ ჩამორჩება. ჩვენი ქვეყნის დედამიწის გულის სიმდიდრე და გეოგრაფიული მდებარეობა უეჭველად მრეწველობის განვითარებას გვიკარნახებს ჩვენში, მრეწველობის გასანვითარებლად კი უმთავრესად მამოძრავებელი ძალაა საჭირო. მართალია ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ძალის მისაღებად ჩვენ ჩვენში მრავლად არსებულ წყლის ძალას, ეგრედ წოდებულს თეთრს ნახშირს, გამოვიყენებთ ახლო მომავალში, მაგრამ ეს „ახლო მომავალი" არც თუ ისე ახლო იქნება უეჭველია და ამიტომ ჯერ „შავ ნახშირს" უნდა მიექცეს ჩვენი უმთავრესი ყურადღება.

ფქვილ ნახშირის დამზადება არც თუ ისეთი ძნელი საქმეა. დაიფქვება ყოველნაირი ქვანახშირი იმ ზომამდე, რომ ერთ ოთხკუთხ ცენტიმეტრზე 100 უჯრიან საცერში ფქვილის 95% გავიდეს, ხოლო 200-იან საცერში კი 85% გადიოდეს. თუ შევადარებთ ამ ფქვილს ცემენტის ფქვილთან, დავინახავთ, რომ ეს ფქვილი ძალიან მსხვილი ყოფილა—ცემენტის ფქვილი ერთ ოთკუთხ ცენტიმეტრზე 5000 უჯრიან საცერში უნდა გადიოდეს! ასე რომ წვნიკ ნახშირის დასაფქველად სრულიად ცოტა ძალაა საჭირო, მით უფრო, რომ ქვანახშირი არც თუ ისეთი გაქვავებული რამ არის, როგორც ცემენტის ქვა.

ტყვიბულში ნახშირიც მოიპოვება და წყალიც, ასე რომ საჭირო წისქვილები ორთქლის ძალითაც შეიძლება ატრიალდეს და წყლის ძალითაც, რომლითაც იგივე წვნიკი ნახშირი, თუ საჭიროა, წინასწარ გაირეცხება. და ფქვილ ქვანახშირისთვის საჭიროა, რომ იგი არ შეიცავდეს 1%-ზე მეტს წყალს, სინოტიეს. ამისთვისაც უბრალო მანქანები არსებობს, ისე რომ დიდ სიძნელეს არც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს.

ქვანახშირის დაფქვა, ფქვილის გადატან გადმოტანა, დატვირთვა სულ დახურულ მანქანებში და მილებში სწარმოებს, ასე რომ არც ნახშირის მტვერით არის ადამიანი შეწუხებული.

ორთქმავლის ქვაბის ღუმელი თიხის აგურებით არის შემოვლებული. ფქვილი ამ ღუმელში მილებით შემოდის ჰაერის დაწოლით ან სხვაფრივ მექანიკურად გაცამტვერებული და გახურებულ თიხის აგურების თალს, რომ ჰხვდება, მაშინვე ცხოველ ალად ინთება, ასე რომ წვის ვითარება სავსებით წააგავს მდუღარ სათბობის (ნავთის) წვას.

დაბოლოს თუ გავითვალისწინებთ ყოველივეს ამ წერილში ნათქვამს და დავუმატებთ, რომ ფქვილ ნახშირის ხმარებაზე აგებული თანამედროვე გაუმჯობესებული ცემენტის მობრუნავე ღუმელები, რომ სპილენძის მეტალურგიაშიაც თანდათან ხმარებაში შემოდის იგივე ფქვილი ნახშირი, რომ ეს დარგი შედარებით ახალია და, ადვილად შესაძლოა, ფქვილ ნახშირის ხმარებამ უნივერსალი (ყოვალნაირი, მსოფლიო) მნიშვნელობა მიიღოს, ამიტომ ყურადღებას მივაქცევ, ვისგანაც ჯერ არს, ამ უეჭველად საგულისხმო საკითხისადმი.

**მიხ. შალამბერიძე.**

**გახსოვდეთ ამხანაგებო და მოქალაქენო! გახსოვდეთ**

რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არჩევნებში № 1 გამოდის. ხმა მიეცით № 1.

ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი.

**№1**

ხმას ვაძლევ
საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას

Голосую за списокъ
Соціалъ-Демократической
Рабочей Партіи Грузіи

Ձայն եմ տալիս
Վրաստանի Սոցիալ-Դեմոկրատական Բանվորական Կուսակցության ցուցակին

کورجنان اجتماعیون عامیون فمله فرقه‌سی

# საარჩევნო სამზადისი ფოთში

ფოთი ენერგიულად ემზადება არჩევნებისათვის. საქალაქო საარჩევნო სიები თავს გააკვირვეს. ქალაქის გამგეობას განზრახული ჰქონდა ქალაქის ხელახალი აღწერა; ის ფიქრობდა ცენტრიდგან განკარგულებას და ადგილობრივად თითქმის არავითარ ზომებს არ ღებულობდა. ეგონა, საკმარისი დრო დარჩებოდა აღწერისათვის. ცენტრის განკარგულებამ—20 ს სია გააკარითო, უცერხულ მდგომარეობაში ჩააყენ გამგეობა: არ იყო ფიზიკურად შესაძლებელი ქალაქის აღწერა და, უფრო კი, სიების დაბეჭდვა. ასეთ მდგომარეობაში საარჩევნო კომისიამ გადასწყვიტა ესარგებლნა იმ სიებით, რომელიც შეადგინა სასურსათო განყოფილებამ, როდესაც წინ სურსათის ხაკეთის მოსაგვარებლად აღწერა ქალაქი. სიები შესდგა, გააკრეს 20 ს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი გამოტოვებული დარჩა.

სიები სწორდება, გამოტოვებულები ბოლომდე შეაქვთ შიგ და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ გამოტოვებული არავინ დარჩება.

ქალაქი ხუთ უბნათ არის დაყოფილი. ეს გვაიმედებს, რომ აბსენტეიზმი დიდი არ ექნება.

დემოკრატია ემზადება; მას სწორათ აქვს ორივე მომავალი არჩევნების მნიშვნელობა. ემზადებიან მოწინააღმდეგენიც. ნაც.-დემოკრატებს სურთ კიდევ ნ. ნიკოლაძეს ამოეფარონ და ისე გაიყვანონ ქალაქის საბჭოში რამდენიმე ვაჭრები, რომელთაც თვითონ ნაც.-დემოკრატებიც არ ენდობიან, მაგრამ რა ჰქნან, რომ კაცები არ ჰყავთ.

ადგილობრივი ფედერალისტებიც ამოძრავდენ, მაგრამ ძლიერ ფლაზათოდ: ჯერ მარტოთ მარტო მოსწავლე ახალგაზრდობა მუშაობს ამ პარტიისთვის.

**ს ი ა**

ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებისა, წამოყენებული საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის ფოთის კომიტეტისაგან:

1) საბახტარიშვილი კონსტანტინე ბეგლანის ძე, 2) ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე, 3) კორძაია ალექსანდრე ბეგლარის ძე, 4) კალურაძე ლავროსი პავლეს ძე, 5) ხოფერია კონსტანტინე (გრიშა) ალექსანდრეს ძე, 6) ანწკირველი ამბროსი ნესტორის ძე, 7) ნოდია ვასო მარკოზის ძე, 8) ქუთათელაძე პეტრე იორდანეს ძე, 9) ტულუში ლავრენტი მაქსიმეს ძე, 10) პაიჭაძე სოლომონ გიგოს ძე, 11) მეგრელიძისა ლიუდმილა იზმაილის ასული, 12) ქადიეშვილი მარგარიტა ვასილის ასული,

# პარტიის წევრთა სავალდებულო მობილიზაცია

თანახმად თფილისის კომიტეტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებისა, კვირას, 2 თებერვალს ქალაქის საბჭოს არჩევნების დღეს პარტიის წევრნი ვალდებულნი არიან ფეხზე იდგნენ და აქტიურათ ეხმარებოდნენ პარტიას. ამ მიზნით პარტიულ რაიონებში შაბათს 1 თებერვალს საღამოს 4 საათიდან ინიშნება პარტიის წევრთა საერთო კრებები. ყველა პარტიის წევრი ვალდებულია გამოცხადდეს თავიანთ კოლექტივის ბინაზე სამუშაო დირექტივების მისაღებათ. (3—1)

13) სამსონ არისტარხის ძე, 14) გოგიბერიძე სიმონ კონსტანტინეს ძე, 15) ჯაკობია თომა მაქსიმეს ძე, 16) კომახიძე ვანო ბესარიონის ძე, 17) ცხადაძე ერმოლე იოსიფის ძე, 18) სვანიძე ამბროს ლუარსაბის ძე, 19) მახარაძე ნიკო სიმონის ძე, 20) ცერცვაძე ნიკოლოზ ერასტის ძე, 21) ლოლუა გიორგი (ჯოდო) კონდრატის ძე, 22) ნადარეიშვილი სიმონ (ბუჯუ) ივანეს ძე, 23) ნოღაია იგნატე (ბანძღი) რომანოზის ძე, 24) ვაშაკიძე შიოსპირ მიხეილის ძე, 25) იმნაძე ვანო გაბრიელის ძე, 26) ჯიბლაძე კოლია გაბრიელის ძე, 27) კობიაძე იოსებ ივანეს ძე, 28) ცანავა ალექსანდრე (ძოლფი) გაბრიელის ძე, 29) ჯიაიანი კირილე ივანეს ძე, 30) ღოლიძე გიორგი ზურაბის ძე, 31) შოთაძე ირაკლი გიორგის ძე. ლ. ძ.

**მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1!**

## მუშათა შორის

**პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო.**

(17 იანვრის სხდომა).

დასასრული.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. თითქმის ყველა ორატორი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მიზეზი პროფესიონალურ კავშირთა უმოქმედობისა და მასთან პრეზიდიუმის ნაკლიც მიეწერება იმას, რომ ძალიან ცოტა მომუშავეები გვყავს პროფესიონალურ კავშირებში. საუკეთესო ამხანაგები მატერიალური მხრით ვერ იყვნენ ჩვენგან უზრუნველყოფილი და ამითი აიხსნება ის, რომ ისინი გარბოდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში. მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა, საბჭო სცნობს, შექმნილი პირობების მიხედვით პრეზიდიუმის მუშაობას დამაკმაყოფილებლათ, ამტკიცებს ანგარიშს და გამოსთქვამს იმედს, რომ პრეზიდიუმი მომავალში იმოქმედებს და გამოასწორებს ყველა იმ ნაკლს, რაიც ნაჩვენებია ანგარიშის ბოლოსიტყვაობაში. ამასთანავე საბჭო იმედოვნებს, რომ მომავალი საანგარიშო წელში მოგვიხდება მუშაობა უფრო ნორმალურ პირობებში და ამხანაგები დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილებს, რომ ენერგიულათ აწარმოებენ პროფესიონალური მუშაობა“. საფინანსო არჩევნების განხილვა გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

არჩევნების შესახებ სიტყვა ეძლევა ქალაქის თვითმართველობაში მომუშავეთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრს პოლოსოვს, რომელიც ეხება რა მთავრობის პოლიტიკას, ამბობს: იმი, რომელიც გაუგებრობის ნაყოფი იყო, მთავრობის მიერ გამოყენებული იქნა ზოგიერთ ეროვნებათა დასაჩაგრავათ. მრავალი მოქალაქენი გენერალ გუბერნატორის განკარგულების ძალით სიებს გარეშე დარჩნენ. ამას არ შეეძლო ქალაქის თვითმართველობაში მომუშავეთა პროტესტი არ გამოეწვია. გამოსთქვამს რა პროტესტს ქალაქის თვითმართველობაში მომუშავენი, მოითხოვენ გადადებულ იქნას არჩევნები, რადგანაც მოქალაქეთა უმეტესობა ტერორის ქვეშ იმყოფებათ.

ამ კითხვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აღშფოთება გამოიწვია საბჭოს წევრებში. ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ ეს კითხვა ამოშლილ იქნას დღიურ წესრიგიდან. ამხ. კვკასიძე, პაიჭაძე, ბაღრიძე და ხელაძე მოითხოვენ ეს კითხვა გარჩეულ იქნას დღეს, ვინაიდან საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რა ელემენტებისაგან შესდგება ის კავშირი, რომლის პროტესტიც დღეს აქ მოვისმინეთ.

გ. პაიჭაძე ამბობს: მე ვიყავი მომხრე ეს კითხვა დღეს აქ გარჩეულიყო არა იმიტომ, რომ ეს ჩვენ რაიმე ახალს მოგვცემდა წარსულ არჩევნებთან შედარებით, არამედ ნათლათ გამოვარკვიოთ ამ პროტესტის ავტორების ვინაობა. იმ ხალხს, რომელსაც დღემდის, წარსული სომეხ-ქართველთა შორის ატეხილი იმი, გაუგებრობათ მიაჩნიათ, არც შეეძლოთ სხვა ნაირათ მოქცეულიყვნენ. იმის შესახებ ჩვენ ჩვენი სიტყვა უკვე ვთქვით წინანდელ ჩვენს რეზოლიუციაში. ნათლათ და გარკვევით ვამბობთ, რომ იმი გამოწვეული იყო არა გაუგებრობით, არამედ განზრახ. იმი წინდაწინ გამიზნული და აწონ-დაწონილი ჰქონდა იმ პარტიას, რომლის საკმაო რიცხვი მოსამსახურეთა სახით ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებებშია დღეს მოკალათებული, ეს არის პარტია დაშნაკცუტიუნისა. ბ-ნ პოლოსოვი, რომელიც ამ კითხვას სვამდა, სულ სხვა რაიმე ამოქმედებდა, მას სურდა თუ კი მოახერხებდა, შეცდომაში შეეყვანა საბჭო და მისი, საბჭოს, წინანდელი რეზოლიუცია უარეყო. ამით ის ორ საქმეს აკეთებდა: პირველი ის, რომ საბჭოს თავისი თავი სასაცილოთ უნდა აეგდო და ფართო მასაში თავისი პრესტიჟი დაეცა, მეორე კი ბ-ნ პოლოსოვისთვის უფრო ხელსაყრელი,—ეს დაშნაკური აგიტაცია, მათი პოლიტიკის მიმართულება. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი პოლოსოვი ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მიაღწევს. ჩვენ ვებრძოდით თვითმპყრობელობის გუბერნატორებს იმიტომ, რომ ისინი სულს გვიხუთავდნენ, ხელს გვიშლიდნენ გვეკეთებინა დემოკრატიული საქმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს გენერალ გუბერნატორს, რადგანაც ის იცავს დემოკრატიულ მონაპოვარს და ებრძვის დაშნაკურ-რეაქციონურ პოლიტიკას, რათა შენარჩუნებულ იქნას ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რევოლიუციის მონაპოვარი. როგორც ხედავთ, ჩვენ ვებრძოდით მეფის ჯალათ-გუბერნატორს. მხარს ვუჭერთ დემოკრატიული ინტერესების დარაჯათ მთავრობის მიერ დანიშნულ გუბერნატორს. და სანამ ჩვენი მთავრობის სათავეში იქნებიან ჩვენ მიერ ნდობით აღჭურვილი ჩვენი ბელადები, ჩვენ მათთან ვიქნებით. დასასრულ, ვიწონებთ რა არჩევნებში მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მოვითხოვთ უარყოფილ იქნას ის პროტესტი, რომელიც გამოტანილ იქნა ერთი მუჭა მოსამსახურეების მიერ“. ლაპარაკობენ ამხ. ხელაძე, კავკასიძე, ბაღრიძე და გივი, რომლებიც კიცხავენ ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა საბჭოს მოქმედებას. ერთხმათ მიღებულ იქნა ამხ. პ. კავკასიძის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია: „იქონია რა მსჯელობა ქალაქის თვითმმართველობის და დამფუძნებელი კრების წევრების არჩევნებზე, საბჭო სცნობს, რომ არჩევნები დანიშნულია თავის დროზე და მოუწოდებს ამხანაგებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში და მისცენ ხმა იმ პარტიას, რომელიც სდგას და ხელმძღვანელობს კლასთა ბრძოლის პრინციპებით და იცავს მშრომელთა ინტერესებს“.

არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც ევალება სიების გადასინჯვა, თუ რამდენათ ისინი მიზანშეწონილია და მართლათ შემდგარი. კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ა. ხელაძე, ს. დობორჯგინიძე, პ. კავკასიძე, ს. ავალკოვი, მ. მახვილაძე და სიმონოვი. გ. პა—ძე.

**მოქალაქენო!**

**სოციალდემოკრატია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საუკეთესო დამცველია.**

**ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1 ს.**

## ს.-დემ. პარტიაში

**რკინის გზის სამმართველო.** 27 იანვარს შესდგა სამმართველოს ს. დ. პარტიის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვ. ნინუა, მდივნათ ამხ. არ. რუხაძე. დღიურ წესრიგში იყო სამი საკითხი: 1) დამფუძნებელ კრების და ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ; 2) ქვე-კოლექტივის მოქმედების ანგარიში და 3) ქვე-კოლექტივის წევრების არჩევა. პირველ საკითხზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. დ. თოფურიძემ. ის შეეხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ისტორიას, ჩვენი ყოფილი ამხანაგების რ. სოც. დემ. მ. პ. სახელით რამოდენიმე ინტელიგენტების მოქმედებას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და სხვა. ის მოუწოდებს ამხანაგებს, ჩვეულებისამებრ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში. კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრებამ მოისმინა რა ამხ. დ. თოფურიძის მოხსენება საერთოდ დამფუძნებელ კრების და ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომპანიის შესახებ, სრულიად ეთანხმება მას და ავალებს ყველა წევრებს მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ საარჩევნო კომპანიაში და აქტიურად იმუშავონ ყველა ამხანაგებმა ს. დ. სიის გასამარჯვებლად.“

მეორე საკითხზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. მიხა კაპარავა. კოლექტივის მოქმედების ანგარიშიდან გამოირკვა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე შედარებით შევრი გაუკეთებია მას. მოხსენებიდანვე სჩანს, რომ კულტურულ საკითხშიაც ენერგიულად უმუშავნია. კოლექტივის წევრები თითქმის ყველა განუწყვეტლივ ესწრებოდნენ სხდომებს. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრებამ მოისმინა რა მოხსენება მეციერე კოლექტივის მოქმედების შესახებ, უცხადებს მას მადლობას ენერგიულ მოქმედებისთვის და გადადის მორიგ საკითხზე.

ქვეკოლექტივში არჩეულ იქნენ წევრებად შემდეგი პირები: 1) ლავრენტი ასათიანი; 2) სარდიონ ლოგუა; 3) არისტრახი ლომიძე; 4) მელიტონ ფერაძე; 5) მიხა კაპარავა, 6) ვანო ნაცვლიშვილი; 7) იოსებ ხუხუნაიშვილი; 8) ალექსანდრე გოგვაძე; 9) გიორგი წილოსანი; 10) შაქრო კოშკაძე და 11) არჩილ რუხაძე.

მათ კანდიდატებათ: 1) ალექსანდრე ფანცულაია, 2) გიორგი ჯვარშეიშვილი, 3) პავლე ხითაგიშვილი, 4) ისიდორე ბახტაძე, 5) ალექსანდრე ქეშიშოვი და 6) ნოე ლეჟავა.

ხაქარელი მ.

## პროვინცია

**ხონი.** ხონის ქალაქის საბჭოს არჩევნები დანიშნულია 2 თებერვალს. საარჩევნო კომისიაში შემოვიდა სამი სია: სოციალ დემოკრატიულ პარტიის № 1, სოციალისტ-ფედერალისტების № 2 და ნაციონალ-დემოკრატების და უპარტიოთა ბლოკის № 3.

ხონის მშრომელი ხალხი კარგად იცნობს პირველ ორ პარტიებს. მან იცის, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ერთად ერთი დამცველია ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა. ხონის მშრომელი ხალხი მუდამ ამ პარტიას უჭერდა მხარს და ამ არჩევნებშიაც მას გაჰყვება.

ხონის მშრომელი ხალხი იცნობს სოციალისტ ფედერალისტების პარტიასაც. მან იცის, რომ ეგ პარტია შესდგებოდა შერეულ ელემენტებისაგან, რომ ამ პარტიაში თავს იყრიდენ ყველა, ვინც კი უკმაყოფილო იყო მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი სოციალ-დემოკრატიული პარტიით *).

რაც შეეხება ბლოკს ნაციონალ-დემოკრატების და უპარტიოთა, მათ სიაში ისეთი პირებია, რომლებსაც დემოკრატობის არაფერი სცხიათ. ეგ პარტიაა მემამულეთა და მდიდართა პარტია; ეს ის პარტიაა, რომელიც წინააღმდეგია გლეხობას გადაეცეს მიწა. ამ პარტიის სია ვერ მიიღებს ვერც ერთ გლეხის ხმას.

მოქალაქენო! არც ერთი ხმა № 2 და № 3!

ყველა ხმები სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, № 1.

ამრჩეველი.

---

*) ამ პარტიის სიაში შეტანილია გიორგი პეტრეს ძე ბახტაძე, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა დღემდე არავის უნახავს. ერობის არჩევნებში იგი ესერების სიაში იყო, ეხლა კი ფედერალისტთა სიაში ამოუყვგავს თავი. ნეტავ რაშია საქმე: გაფედერალისტდა ბ-ნი ბახტაძე, რომელიც მუდამ ჩვენი მთავრობის გვინებაშია, თუ რამე ბლოკია ეს-ფერებსა და ესერებს შორის?..

## განცხადებანი

### ა. ნ. ფაცილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფებს სადამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ქალი

### ვაინი

იღებს სპეციალურად საშვილოსნო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ექიმი

### დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

### კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნევის“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

### ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი ქალი

### ე. ს. კარუკეს — მეგურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საშვილო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ქალი

### რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საშვილო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის

### გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ღვიძლისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**საწყლებს უფასოდ.**

კბილის საექიმო კაბინეტები

თედორე საფარალიძის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კოლოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

### მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხოხნების ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, შემლის აფთიაქის ახლოს.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**ექიმი დ. მ. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6½. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

### იყიდება

ნიგვზის შკაფი, რკინის პრუჟინიანი ტახტი, დიდი სარკე, ინგლისური მატერია კაცის სადარბაზო კოსტიუმისათვის ცისფერი და ვარდისფერი აბრეშუმი 7—7 არშინი, ქეჩის (ნაბდის) ჩექმები. ადრესი: ანასტასია ქ. 13 ბინა ბურჟესა შესასვლელი ეზოს კარებთან. დილის 11—4 საათამდე.

## სახელმწიფო თეატრი

(ოპერა)

შაბათს, 1 თებერვალს ო. ა. შულგინას ბენეფისი. შულგინას, ვესიოლოვზოროვის, ზალიპსკის, ვრონსკის, ინაშვილის, ნიკოლსკის, დემიანენენკოს, ეზრივას მონაწილეობით

### —ბოჰემა—

კვირას, 2 თებერვალს, დილით „რუსალკა“, საღამოს „დემონი“. დასაწყ. 7 საათზე.

### განცხადება

პირველ თებერვლიდან 1919 წლისა კახეთის რკინის გზის სადგურ წნორის-წყალის მახლობლად გაიხსნა საკომისიო და საექსპედიციო კანტორა „ნდობა“, რომელიც შეასრულებს ყოველგვარ საქმეებს, რაც ეხება საქონლის რკინის გზებით გადაზიდვა-გადმოზიდვას. მისამართი: სადგური წნორი, კანტორა „ნდობა“ ივანე იოსელიანს.

### კახეთის რკ. გზის შენობათა და ლიანდაგის 1-ლ უბნის უფროსი

ამით აცხადებს, რომ უბნისთვის საჭიროები არიან გამოცდილი რკინის გზებზე ნამსახური გზის და გადასავლელის დარაჯები და არტელის უფროსები. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება უბნის უფროსის კანტორაში. კარკას ქ., № 32, ყოველ დღე დილის 9—3 საათამდის.

ფოთიდან პლ. ჯაპანამდი და ჯაპანიდან სოფ. ამაღლებაში მგზავრობის დროს დავკარგე ტყავის საფულე, რომელშიაც იყო კვიტანციები: 1) 9600 მანეთის, 2) 1400 მან., 3) 600 მან. და რკინის გზის სამმართველოს მიერ მიცემული პირადობის მოწმობა—სურათით და სხვ. მპოვნელს ვსთხოვთ მისთვის გამოუსადეგარი, მაგრამ ჩემთვის ძვირად მნიშვნელოვანი დოკუმენტები დამიბრუნოს, რისთვისაც ჯილდოს მიიღებს—500 მანეთს, მისამართი: ფოთი, სადგური, რკინის გზის პროფ. კავშ. თავმჯდომარეს ცხადაიას, მელიტონ ყაჭეიშვილისათვის.

## სახელმწიფო თეატრი „კავშირის“ დასი.

წარ. № 16 პარასკევს, 31 იანვარს წარ. № 16

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეცხრედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ. 3 მოქმ. და 7 სურ.

### —სინათლე—

ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: დიდი ამბავი ტყუილ უბრალოდ, სინათლე მეორე ნაწილი, მსხვერპლი

### განცხადება

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან **ქართულ გიმნაზიას** ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.

მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მათ ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—5)